საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია არ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები

კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელიც მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შემენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების მშენებლობა სარეალიზაციოდ და მიმდინარე მშენებლობის აღრიცხვისთვის გამოყენებულია ბასს 2 „სასაქონლო მატერიალური მარაგები“ მოთხოვნები ოპერაციების თავდაპირველი აღიარებისა და შემდგომი შეფასებისთვის.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში.

შპს "ალიანსი თბილისი"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში).

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას შორის სხვაობის თანხით. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობა	20
მანქანა-დანადგარები	1-10
სატრანსპორტო საშუალებები	10
ოფისის აღჭურვილობა	3-8
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5
სხვა აქტივები	3-10

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების

მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღიარებული მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: რეალური ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებად, გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად, და სესხებად და მოთხოვნებად. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. კომპანიას მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფული და ფულის ეკვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქალაქებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცვლადი გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია სავაჭრო და სხვა ვალდებულებებად და მიღებულ სესხებად. ფინანსური ვალდებულება საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიის ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. აღიარება შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებას ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი

ნებადართული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. კაპიტალში აღიარდება წილის ნომინალური ღირებულება და ნამეტი (არსებობის შემთხვევაში) კლასიფიცირებულია როგორც საემისიო კაპიტალი.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისათვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მეწილეებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად საქონლისა და მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით. აღნიშნულის განსახორციელებლად შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს მეწილეებისათვის გადასახდელი დივიდენდების თანხა, დაუბრუნოს კაპიტალი მეწილეებს, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო

ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

- **ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.** ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. საადრიცხო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- **დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების საწყისი აღიარება.** ბიზნესი ჩვეული საქმიანობისას ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება უნდა მოხდეს საბაზრო ფასით. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი აქტივისთვის, მენეჯმენტი იყენებს განსაზღვრებებს იმის დასადგენად განხორციელდა თუ არა ტრანზაქცია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით. განსაზღვრისას მენეჯმენტი ყურდნობა არადაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული მსგავსი ტრანზაქციების ღირებულებას და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთების პირობები და გარემოებები გამჟღავნებულია მე-17 შენიშვნაში.
- **გადასახადები.** კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადებისა და პროცენტების გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი. კომპანიას სჯერა, რომ ყველა საანგარიშგებო პერიოდისთვის მის მიერ დარიცხული საგადასახადო ვალდებულებები ეფუძნება მრავალ ფაქტორს, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და საგადასახადო კანონმდებლობას. ეს განსაზღვრება ეფუძნება შეფასებებსა და დაშვებებს, და შეიძლება მოიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალი მოვლენების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო საგადასახადო შედეგი განსხვავებული იქნება დარიცხული თანხებისაგან, სხვაობები გავლენას მოახდენს იმ პერიოდის მოგება-ზარალზე, რა პერიოდშიც ეს გახდება ცნობილი.

4. ამონაგები

კომპანიის მიერ აღიარებული შემოსავალი და თვითღირებულება 2017 და 2018 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შემოსავლის სახე:	2018	2017
მომსახურების რეალიზაცია	2 883	-
საქონლის რეალიზაცია	170 359	-
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(136 264)	-
	36 977	-

ვინაიდან კომპანია არ აღიარებს შემოსავალს მანამ სანამ არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებების შესაბამისად მიღებული თანხები აღიარდება მიღბულ ავანსად და შემოსავალი დაექვემდებარება აღიარებას მას შემდეგ, რაც შენობა შევა ექსპლუატაციაში და გაყიდული უძრავი ქონება გადაფორმდება მყიდველის სახელზე.

5. ფინანსური შემოსავლები

კომპანიის ფინანსური შემოსავლები საანგარიშო წლებისათვის, რომელიც დასრულდა 2017 და 2018 წლების 31 დეკემბერს მოიცავს:

	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი დაკავშირებული მხარეებიდან	8 580	7 553
საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტიდან	31 174	-
	39 755	7 553

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები საანგარიშო წლებისათვის, რომელიც დასრულდა 2017 და 2018 წლების 31 დეკემბერს მოიცავს:

	2018	2017
შრომის ანაზღაურება	1 629 520	795 285
ცვეთა და ამორტიზაცია	751 574	15 393
საგადასახადო ხარჯი	91 205	22 018
საკონსულტაციო ხარჯი	38 591	6 000
ბანკის მომსახურება	7 768	2 917
წარმომადგენლობითი ხარჯები	74 059	20 648
იჯარის ხარჯი	170 568	86 407
მივლინების ხარჯები	54 823	21 671
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	321 387	85 179
კომუნიკაციის ხარჯები	6 357	13 021
	3 145 850	1 068 538

შპს "ალიანსი თბილისი"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში).

7. მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

კომპანიის მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები საანგარიშო წლებისათვის, რომელიც დასრულდა 2017 და 2018 წლების 31 დეკემბერს მოიცავს:

	2018	2017
სარეკლამო ხარჯები	908 614	479 979
რეალიზაციის დანახარჯები	1 721 520	404 185
	2 630 135	884 164

8. სხვა (ხარჯი)/შემოსავალი

კომპანიის სხვა (ხარჯი)/შემოსავალი საანგარიშო წლებისათვის, რომელიც დასრულდა 2017 და 2018 წლების 31 დეკემბერს მოიცავს:

	2018	2017
ძირ. საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება / (ზარალი)	(5 189)	
შემოსავალი გაუქმებული ჯავშნებიდან	47 092	
სხვა შემოსავლები / (ხარჯები)	1 064	
	42 967	-

9. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი საანგარიშო წლებისათვის, რომელიც დასრულდა 2017 და 2018 წლების 31 დეკემბერს მოიცავს:

	2018	2017
დაკავშირებული მხარეებიდან აღებული სესხის პროცენტი	667 363	308 851
	667 363	308 851

შპს "ალიანსი თბილისი"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში).

10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	დაუმთავრებელი მშენებლობა	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა აქტივები	ჯამი
2016 წლის 31 დეკემბერი	-	-	932	3 953	-	-	-	4 885
შემოსვლა	5 217 904	11 271	1 536 901	33 761	46 943	21 343		6 868 122
გასვლა								
2017 წლის 31 დეკემბერი	5 217 904	11 271	1 537 833	37 714	46 943	21 343	-	6 873 007
შემოსვლა	2 857 941	30 322	2 495 386	91 107	186 233	106 625	53 178	5 820 793
გასვლა					(978)	(21 343)		(22 321)
2018 წლის 31 დეკემბერი	8 075 845	41 593	4 033 219	128 821	232 198	106 625	53 178	12 671 479
<i>დაგროვილი ცვეთა</i>								
2016 წლის 31 დეკემბერი			38	58				96
ცვეთის ხარჯი		688	8 100	2 473	3 452	534		15 246
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა								-
2017 წლის 31 დეკემბერი		688	8 137	2 531	3 452	534		15 342
ცვეთის ხარჯი		6 127	687 481	16 594	30 484	6 215	4 296	751 198
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა					(212)	(2 312)		(2 524)
2018 წლის 31 დეკემბერი	-	6 815	695 619	19 126	33 724	4 436	4 296	764 016
<i>საბალანსო ღირებულება</i>								
2016 წლის 31 დეკემბერი	-	-	895	3 895	-		-	4 790
2017 წლის 31 დეკემბერი	5 217 904	10 583	1 529 695	35 182	43 492	20 809	-	6 857 666
2018 წლის 31 დეკემბერი	8 740 088	34 778	3 337 600	109 695	198 474	102 189	48 882	12 571 706

არამატერიალური აქტივები მოიცავს კომპანიის მიერ შეძენილ კომპიუტერულ პროგრამებს.

შპს "ალიანსი თბილისი"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში).

11. მარაგები

მარაგები საანგარიშო წლებისათვის, რომელიც დასრულდა 2017 და 2018 წლების 31 დეკემბერს მოიცავს:

	31-Dec-18	31-Dec-17	31-Dec-16
ნედლეული და მასალები	463 924	291 747	18 474
მიმდინარე მშენებლობა	19 412 998	6 995 867	337 518
სხვა მარაგები	1 237 900	794 818	8 074
	21 114 821	8 082 431	364 067

მიმდინარე მშენებლობა წარმოადგენს კომპანიის მიერ გასაყიდად მშენებარე პროექტზე გაწეულ დანახარჯებს.

12. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები საანგარიშო წლებისათვის, რომელიც დასრულდა 2017 და 2018 წლების 31 დეკემბერს მოიცავს:

	31-Dec-18	31-Dec-17	31-Dec-16
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	71 222	1 704	-
წინასწარგადახდები	2 716 931	1 275 188	159 663
სხვა მოთხოვნები			
	2 788 153	1 276 892	159 663

13. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შედსაბამისად, ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული საგადასახადო პერიოდებისთვის. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მოგების გადასახადის ხარჯს და გადავადებულ მოგების გადასახადს., კოდექსის შესაბამისად გამონაკლის შემთხვევებში გადახდილი გადასახადი მოგების გადასახადის ნაცვლად აღიარება სხვა საგადასახადო ხარჯებთან ერთად.

14. გაცემული სესხები

გაცემული სესხები საანგარიშო წლებისათვის, რომელიც დასრულდა 2017 და 2018 წლების 31 დეკემბერს მოიცავს:

	31-Dec-18	31-Dec-17	31-Dec-16
ფ/პ გაცემული სესხები	82 592	77 766	79 404
გაცემული სესხებიდან მისაღები პროცენტი	20 584	12 158	4 474
	103 176	89 924	83 878

შპს "ალიანსი თბილისი"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში).

15. ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2017 და 2018 წლების 31 დეკემბერს მოიცავს:

	31-Dec-18	31-Dec-17	31-Dec-16
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	488 513	10 768	3 329
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	7 200	706 923	32 344
ფული ბანკში დეპოზიტებზე უცხოურ ვალუტაში	4 584 969	-	-
ბლოკირებული თანხები	1 783 832	707 782	-
	6 864 513	1 425 473	35 672

ბლოკირებული თანხები არის კომპანიის მიერ ბანკთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე შემდეგი ფორმით მიღებული: ბანკის მიერ შერჩეულ დაინტერესებულ პირებს, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი თანხა ნასყიდობის ფასის სრულად გადასახდელად, ბანკი შესთავაზებს კრედიტით სარგებლობას. ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტის თანხა ჩაირიცხება ბლოკირებულ ანგარიშზე და მსესხებლის მიერ ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები უზრუნველყოფილი იქნება ბლოკირებულ ანგარიშზე განთავსებული თანხებით. ეს თანხა სრულად განიბლოკება მას შემდეგ რაც: 1) შენობა შევა ექსპლუატაციაში, 2) შემენილი უძრავი ქონება დაიტვირთება პირველადი იპოთკით ბანკის სასარგებლოდ და გადაფორმდება მსესხებლის სახელზე. ხელშეკრულების მიზანია კომპლექსის მშენებლობის დაფინანსება. ბლოკირებულ ანგარიშზე კომპანიას ერიცხება საპროცენტო შემოსავალი.

16. საწესდებო კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი მოიცავს:

პარტნიორი	წილი %	კაპიტალი	
		31-Dec-18	31-Dec-17
შპს "ალიანსი"	55,00%	3 691 644	3 691 644
შპს „რეტრო დეველოპმენტი“	45,00%	3 717 095	3 717 095
სულ:	100,00%	7 408 739	7 408 739

17. მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტები

მიღებული სესხები საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2017 და 2018 წლების 31 დეკემბერს შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31-Dec-18	31-Dec-17	31-Dec-16
დაკავშირებული მხარეებიდან მიღებული სესხები	5 192 604	6 354 968	791 393
მიღებულ სესხებზე გადასახდელი პროცენტი	1 053 332	338 951	23 920
	6 245 936	6 693 919	815 313

18. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2017 და 2018 წლების 31 დეკემბერს მოიცავს:

	31-Dec-18	31-Dec-17	31-Dec-16
სავაჭრო ვალდებულებები	514 225	189 082	6 491
მიღებული ავანსები	40 949 665	6 534 156	-
გადასახელი ხელფასები	-	181 625	7 525
	41 463 889	6 904 863	14 016

მიღებული ავანსები მოიცავს მომხმარებლისგან წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებების შესაბამისად მიღებული თანხებს.

19. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე, არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს ჯგუფში შემავალი კომპანიების შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის პერიოდზე.

სასამართლო დავები

დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაკეთებულა არანაირი რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით.

ვალდებულება დაკავშირებული ტურისტული საწარმოს სტატუსთან

კომპანიას მშენებარე სარეალიზაციოდ განკუთვნილ ობიექტზე მინიჭებული აქვს ტურისტული საწარმოს სტატუსი, რაც გულისხმობს შემდეგს: ამ სტატუსის მქონე სასტუმრო აქტივების რეალიზაცია გათავისუფლებულია დღგ-ს გადახდისგან ჩათვლის უფლებით. ამასთან, შენობის ექსპლუატაციაში მიღებიდან არა უმეტეს 10 კალენდარული წლის განმავლობაში უკუიჯარით აღებული ამავე აპარტამენტებით სასტუმროს ოპერირებისას დადევალარირებული დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა თუ არ აღემატება ბინების რეალიზაციის ღირებულებას, მაშინ კომპანია ვალდებულია გადაიხადოს ბიუჯეტში აღნიშნული უარყოფითი სხვაობის შესაბამისი დღგ 18%-იანი განაკვეთით.

შპს "ალიანსი თბილისი"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში).

კომპანიას არ გაუკეთებია იმის შეფასება, ტურისტული საწარმოს სტატუსით საქმიანობის ფარგლებში მოსალოდენელია თუ არა მომავალში დამატებული ღირებულების გადახდის ვალდებულების დადგომა და აღნიშნული შეფასების გაკეთებას გეგმავს მას შემდეგ, რაც შემოსავალი დაექვემდებარება აღიარებას (შენიშვნა შევა ექსპლუატაციაში და გაყიდული უძრავი ქონება გადაფორმდება მყიდველის სახელზე).

20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მიღებული სესხები, გადასახდელი პროცენტები და სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან:

დაკავშირებული მხარე	კავშირის სახე	31-Dec-18	31-Dec-17	31-Dec-16
<i>მიღებული სესხი</i>				
შპს ალიანსი	დამფუძნებელი	3 720 474	3 084 718	516 126
შპს რეტო დეველოპმენტი	დამფუძნებელი	1 472 130	3 270 250	275 267
<i>გადასახდელი პროცენტი</i>				
შპს ალიანსი	დამფუძნებელი	535 188	160 944	6 914
შპს რეტო დეველოპმენტი	დამფუძნებელი	518 144	178 007	17 006
<i>სავაჭრო ვალდებულებები</i>				
შპს ალიანსი	დამფუძნებელი	217 637	19 000	-

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან:

	2018	2017
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	650 000	400 000

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან ანგარიშგების გამოცემამდე რაიმე სახის მნიშვნელოვან მოვლენას ადგილი არ ქონია.